

**შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ კაპიტალის
100%-იანი წილის გასხვისების მიზნით შექმნილ სააუქციონო კომისიას
საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით დაინტერესებული პირის**

განცხადება

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ ----- (ს/კ -----) შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ (შემდგომში „საზოგადოება“) კაპიტალის 100% - იანი წილის გასხვისების მიზნით გასამართ საჯარო აუქციონზე (შემდგომში „აუქციონი“) მონაწილის სტატუსით.

ასევე, ვაცნობიერებ „აუქციონის ჩატარების წესით“ განსაზღვრულ პირობებს და ვადასტურებ, რომ „აუქციონში“ გამარჯვების შემთხვევაში, უზრუნველვყოფ ჩემს მიერ „წილების“ შეძენაზე „ბანკის“ თანხმობის მიღებას, „სესხის ხელშეკრულებას“ და „პროექტის“ ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში („სესხის ხელშეკრულებასთან“ ერთად შემდგომში წოდებული როგორც „პროექტის ხელშეკრულებები“) „საზოგადოების“ ჩანაცვლებას და „ფონდის“ და „კორპორაციის“ „პროექტის ხელშეკრულებებით“ დაკისრებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას.

ამასთან, წინამდებარე განცხადების წარდგენით, ვაღიარებ და ვეთანხმები შემდეგს, კერძოდ, უქციონში მონაწილე:

- ვალდებულია დამოუკიდებლად, „გამყიდველების“ მიერ ყოველგვარი ჩართულობის და/ან მხარდაჭერის გარეშე, აწარმოოს მოლაპარაკებები „2016 წლის 12 აპრილის ხელშეკრულების“ V მუხლის 5.01 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოწმების გავლასა და/ან „წილების“ შეძენაზე „ბანკის“ თანხმობის მიღებასთან დაკავშირებით;
- „2016 წლის 12 აპრილის ხელშეკრულების“ V მუხლის 5.01 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც „ბანკის“ მიერ შეიძლება იყოს მოთხოვნილი „2016 წლის 12 აპრილის ხელშეკრულების“ ამავე მუხლის მიზნებისთვის;
- „წილების“ ნასყიდობის პროცესის ფორმალურ დასრულებამდე ნებისმიერ დროს, შეიძლება დისკვალიფიცირებული იყოს „ბანკის“ მოთხოვნის საფუძველზე, თუ „ბანკის“ აზრით მისი მონაწილეობა ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტში (შემდგომში: „პროექტი“) „ბანკის“ ინტერესების საწინააღმდეგოა;
- „გამყიდველებს“, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთად აღებული არ ეკისრებათ არანაირი პასუხისმგებლობა „ბანკის“ მიერ „აუქციონის ჩატარების წესის“ მე - 6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანასა და/ან „წილების“ შეძენაზე „ბანკის“ მიერ თანხმობის გაცემის დაყოვნების და/ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით და/ან ამ ფაქტებიდან გამომდინარე;
- „გამყიდველები“ თავისუფლდებიან ყოველგვარი და ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან და/ან მოთხოვნისაგან, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდებოდეს „აუქციონის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით დისკვალიფიკაციას და/ან „წილების“ შეძენაზე „ბანკის“ მიერ თანხმობის გაცემის დაყოვნებას და/ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმას და/ან გამომდინარეობდეს ამ ფაქტებიდან.

- „კომისიის“ მიერ აუქციონის შედეგების დამტკიცების შემდეგ 10 დღის ვადაში, „აუქციონში“ გამარჯვებული პირი (შემდგომში: „გამარჯვებული პირი“) „გამყიდველებთან“ აფორმებს „წილების“ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც „გამარჯვებული პირი“ ვალდებულია უზრუნველყოს:
 - მის მიერ „აუქციონის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადების დაფიქსირების შემთხვევაში - უზრუნველყოს:
 - ა) წინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის განმავლობაში, მის მიერ „წილების“ შექმენაზე „ბანკის“ თანხმობის მიღება, „პროექტის ხელშეკრულებებში“ „საზოგადოების“ ჩანაცვლება და „ფონდის“ და „კორპორაციის“ „პროექტის ხელშეკრულებებით“ დაკისრებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლება (მათ შორის, შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერა და ძალაში შესვლა). „გამარჯვებული პირი“ სრულად აგებს პასუხს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე და ათავისუფლებს „გამყიდველებს“ ამ პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი პასუხისმგებლობისა და/ან მოთხოვნისაგან;
 - ბ) „ბანკისგან“ თანხმობის მიღებიდან 20 დღის განმავლობაში „გამყიდველების“ მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე „შექმენის ფასის“ ჩარიცხვა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

სახელი, გვარი
 მისამართი:
 ტელ: + 995
 ელ - ფოსტა:

პატივისცემით,

სახელი, გვარი
 პოზიცია